

Caucascert LLC	Information of Certification	Code GC/DM/IC-10.8
----------------	------------------------------	--------------------

**განმცხადებლის ინფორმირება ევრო რეგულაციის  
EU Regulation 2018/848 და ISO 17065 მიხედვით  
ბიო-სერტიფიცირების შესახებ**

Developed: ND Date: 26.07.07	Revised: DB, ND, EP, Z.N Date: 11.04.23	Approved: QM Date: 11.04.23	Non-Confidential	Version 7	pages: 1 of 15
------------------------------------	---	-----------------------------------	------------------	-----------	-------------------

CAUCASCERT LLC	Information of Certification	Code: GC/DM/IC-10.8
----------------	------------------------------	---------------------

სერტიფიცირების ორგანო შპს „კავკასსერტი“  
 მისამართი: იური გაგარინის 24, თბილისი, 0160  
 ტელეფონი: +99532 2 38 05 20  
 E-mail: [info@caucascert.ge](mailto:info@caucascert.ge)

**სერტიფიცირების სფეროები:**

- A – მცენარეული პროდუქტები, ველურად მოზარდი მცენარეების ჩათვლით, სათესლე მასალისა და მცენარის სხვა რეპროდუქციული მასალის ჩათვლით;
- B – ცოცხალ ან გადაუმუშავებელ ცხოველური პროდუქტები, მეფუტკრეობის ჩათვლით;
- D – გადამუმუშავებულ სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებს, რომლებიც მოიხმარება, როგორც სურსათი;
- F - ღვინო
- G - სხვა პროდუქტები, რომლებიც მოცემული რეგულაციის დანართ I-ია ჩამოთვლილი ან არ შედის ზემოთ ჩამოთვლილ კატეგორიებში (მაგ.: ფიჭა, მატყლი, ბამბა).

შპს კავკასსერტი არის პროდუქციის სერტიფიცირების ორგანო, რომლის შესაბამისობა ევრო რეგულაციასთან EU Reg. 2018/848, Article 46, აღიარებულია ევროკომისიის, შვეიცარიის და დიდი ბრიტანეთის მიერ.

შპს კავკასსერტის აკრედიტირებულია ISO 17065-ის მიხედვით გერმანიის აკრედიტაციის ორგანოს DAkkS-ის მიერ. აკრედიტაციის მოქმედი სერტიფიკატი გამოქვეყნებულია სერტიფიცირების ორგანოს ვებგვერდზე: [www.caucascert.ge](http://www.caucascert.ge) და აკრედიტაციის ორგანოს ვებგვერდზე: [www.dakks.de](http://www.dakks.de)

წინამდებარე დოკუმენტში ტერმინი „სტანდარტი“ გულისხმობს ევრო რეგულაციას EU Commission Regulation 2018/848 და ყველა მის აღმასრულებელ და დელეგირებულ რეგულაციებს.

წინამდებარე დოკუმენტის მიზანია გააცნოს დაინტერესებულ მხარეს სერტიფიცირების პროცესი, ინსპექტირების და სერტიფიცირების პროცესების ჩათვლით.

წინამდებარე დოკუმენტი ასევე ზოგადად აღწერს ევრო რეგულაციას EU Commission Regulation 2018/848, რომელიც ძალაში შევიდა 2022 წლის 1 იანვრიდან.

Developed by: ND Date: 26.07.07	Revised: DB, ND, EP, Z.N Date: 11.04.23	Approved: QM Date: 11.04.23	Non-Confidential	Version 7	pages: 2 of 15
---------------------------------------	---	-----------------------------------	------------------	-----------	-------------------

## ინსპექტირება

ინსპექტირების მიზანია ბიო წარმოების მართვის სისტემის მიუკერძოებელი და სისტემური შემოწმება, მისი სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის დასადგენად.

### პირველადი ინსპექტირება

- როგორც წესი, პირველი ინსპექტირება იგეგმება განაცხადის და დოკუმენტაციის პაკეტის მიღებიდან ერთი თვის განმავლობაში.
- პირველი ინსპექტირებისას ფასდება წარმოების გეგმისა და წარმოების წესის შესაბამისობა სტანდარტის მოთხოვნებთან.
- მოწმდება წარმოების ყველა ნაწილი (წარმოების წესი, საწყობი, ტრანსპორტირება, პერსონალის მიერ სტანდარტის ცოდნა, დოკუმენტაცია, აღრიცხვის სისტემა) მიკვლევადობის უზრუნველსაყოფად. ფიქსირდება შეუსაბამობები, რომლებიც საჭიროებენ გამოსწორებას.

### შემდგომი ყოველწლიური (რეგულარული) ინსპექტირება

- როგორც წესი, წარმოების სისტემაში შესული ყველა ცვლილების შესახებ მეწარმე ატყობინებს სერტიფიცირების ორგანოს არაუგვიანეს ყოველი წლის 15 მარტამდე.
- ბიო წარმოება უნდა შეფასდეს წელიწადში მინიმუმ ერთხელ, რათა უზრუნველყოფილ იქნეს თანმიმდევრული და უწყვეტი შესაბამისობა სტანდარტის მოთხოვნებთან.
- წარმოების სისტემაში ცვლილების შემთხვევაში, სავალდებულოა წარმოების გეგმის განახლება, შემდეგი რეგულარული ინსპექტირების მომზადებისათვის.
- რეგულარული ინსპექტირების გარდა, შესაძლებელია გაუფრთხილებელი ინსპექტირების ჩატარება (წინასწარი შეტყობინების გარეშე). ინსპექტირების შედეგები აისახება სერტიფიცირების ორგანოს მიერ მიწოდებულ ანგარიშში, რომელშიც დაფიქსირებულია შეუსაბამობები და მაკორექტირებელი ქმედებები.
- ინსპექტორი, ჩატარებული ინსპექტირების დადასტურებისათვის, თვალსაჩინოების სახით ადგილზე ტოვებს ე.წ. „საბოლოო გამოკითხვის“ ფორმას, რომელსაც ხელს აწერს ინსპექტორი და მეწარმე (ან მისი პასუხისმგებელი პირი).

Developed by: ND Date: 26.07.07	Revised: DB, ND, EP, Z.N Date: 11.04.23	Approved: QM Date: 11.04.23	Non-Confidential	Version 7	pages: 3 of 15
---------------------------------------	---	-----------------------------------	------------------	-----------	-------------------

საინსპექციო ვიზიტი მოიცავს მეწარმის საქმიანობასთან დაკავშირებული სპეციფიურ საკითხებს:

- **წინასწარი შეფასება** ტარდება განაცხადის, წარმოების გეგმის მიღებისა და ხელშეკრულების გაფორმებისთანავე. წინასწარი შეფასებისას განიხილება წარმოების გეგმის შესაბამისობა სტანდარტის მოთხოვნებთან.

- **გარდამავალი (კონვერსიის) პერიოდი**

მეწარმემ, რომელიც დაკავებული ბიო მემცენარეობით, ბიო მეცხოველეობით და ბიო მეფუტკრეობით უნდა გაიაროს გარდამავალი პერიოდი. გარდამავალი პერიოდის ხანგრძლივობა დამოკიდებულია წარმოებულ პროდუქციის სახეობაზე და მისი ვადა განსაზღვრულია სტანდარტის მიერ. გარდამავალი პერიოდის ვადები

განსაზღვრულია შემდეგნაირად:

ერთწლიანი და ორწლიანი სას/სამ კულტურები - 2 წელი თესვამდე

მრავალწლიანი კულტურები - 3 წელი მოსავლის აღებამდე

მეცხოველეობისათვის გადამავალი პერიოდი დაკავშირებულია სამოვრის კონვერსიასთან.

ფუტკრისთვის - 12 თვე. კონვერსიის პერიოდში ცვილი უნდა ჩანაცვლდეს ორგანული საფუტკრისგან მიღებული ცვილით.

დამატებით დეტალებს და გამონაკლისებს გაეცანით ევრო რეგულაციაში EU Reg. 2018/848.

- როგორც წესი, გარდამავალი პერიოდის დაწყების თარიღად ითვლება პირველი ინსპექტირების თარიღი, რომელიც უნდა ჩატარდეს პროცედურით განსაზღვრულ ვადებში. იმ შემთხვევაში თუ სხვადასხვა მიზეზის გამო (კლიმატური პირობები, სეზონი და სხვა) პირველი ინსპექტირება ვერ ტარდება პროცედურით განსაზღვრულ ვადებში, ინსპექტირების შესაბამისი პირობები და თარიღი განისაზღვრება და თანხმდება მეწარმესთან. ინდივიდუალურ შემთხვევებში გარდამავალი პერიოდის დაწყების თარიღად შეიძლება ასევე განხილულ იქნეს განაცხადის ან ხელშეკრულების გაფორმების თარიღი. გარდამავალი პერიოდის რეტროაქტიური აღიარებისათვის საჭირო პირობები და თვალსაჩინოება აღწერილია სტანდარტში. აღნიშნული პირობები არის გამჭვირვალე და მიეწოდება განმცხადებელს. მეწარმე ვალდებულია მოამზადოს და წარადგინოს ყველა საჭირო თვალსაჩინოება ინსპექტირებისა და სერტიფიცირების პროცესში.
- **ყოველწლიური (რეგულარული/გეგმიური) ინსპექტირება** ტარდება ყოველ წელს, როგორც გარდამავალი პერიოდის განმავლობაში, ასევე მეწარმეზე სერტიფიკატის გაცემის შემდეგ. სტანდარტის მოთხოვნის შესაბამისად, ერთწლიანი და ორწლიანი კულტურების შემთხვევაში, ბიო სერტიფიკატი გაიცემა 24 თვის შემდეგ დათესილი/დარგული მცენარის მოსავალზე, ხოლო მრავალწლიანი კულტურების შემთხვევაში 36 თვის შემდეგ პირველ მოსავალზე, იმ პირობით, რომ სტანდარტის მოთხოვნები არ ირღვევა ამ პერიოდის განმავლობაში.

Developed by: ND Date: 26.07.07	Revised: DB, ND, EP, Z.N Date: 11.04.23	Approved: QM Date: 11.04.23	Non-Confidential	Version 7	pages: 4 of 15
---------------------------------------	---	-----------------------------------	------------------	-----------	-------------------

მეფუტკრეობის შემთხვევაში სერტიფიკატი გაიცემა 12 თვის შემდეგ, იმ პირობით, რომ მოხდება ცვილის ჩანაცვლება სტანდარტის მოთხოვნის შესაბამისად. თუ ცვილის ჩანაცვლება არ დასრულდება 12 თვის განმავლობაში მაშინ მოხდება გარდამავალი პერიოდის გახანგრძლივება.

- **საზედამხედველო და დამატებითი ინსპექტირება, გაუფრთხილებელი** ინსპექტირების ჩათვლით, ტარდება არსებული რისკების, შეუსაბამობების და მაკორექტირებელ ქმედებების საფუძველზე. გაუფრთხილებელი ინსპექტირება ტარდება ბიო წარმოების სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის გადასამოწმებლად ან კონკრეტული სპეციფიკური მიზეზით. ინსპექტირებების და საზედამხედველო აქტივობების სახეობები, გაწერილია ხელშეკრულებაში, მეწარმესა და სერტიფიცირების ორგანოს შორის.

## ინფორმაცია მეწარმის ვალდებულებისა და გამონაკლისი შემთხვევების შესახებ.

- **ინსპექტირების თარიღის გადატანა ან გაუქმება**  
ინსპექტირების განრიგი უნდა განხილულ იქნეს და დადგინდეს მეწარმესა და სერტიფიცირების ორგანოს შორის.  
თუ ინსპექტირების გაუქმება, თარიღის ან განრიგის შეცვლა მოთხოვნილია მეწარმის მიერ, მან უნდა განაცხადოს ამის მიზეზი ინსპექტირებამდე მინიმუმ 30 დღით ადრე. წინააღმდეგ შემთხვევაში სერტიფიცირების ორგანოს უფლება აქვს მოითხოვოს გაწეული ადმინისტრაციული ხარჯების დაფარვა.
- **ინსპექტირების დროზე ადრე შეწყვეტა/გაუქმება**  
როდესაც მიმდინარე ინსპექტირება დროზე ადრე შეწყდება მეწარმის მოთხოვნით, ის ვალდებულია დაფაროს აუდიტის ხარჯები.

## მეწარმის ვალდებულება და ინსპექტირებისას შესრულებული შემოწმებები

### მიკვლევადობა: დოკუმენტაცია და აღრიცხვა

წარმოებასთან დაკავშირებული ყველა საჭირო მონაცემი უნდა იყოს დოკუმენტირებული და აღრიცხული მეწარმის მიერ. საჭიროების შემთხვევაში აღნიშნული საკითხი დამატებით იქნება ახსნილი მეწარმისთვის.

Developed by: ND Date: 26.07.07	Revised: DB, ND, EP, Z.N Date: 11.04.23	Approved: QM Date: 11.04.23	Non-Confidential	Version 7	pages: 5 of 15
---------------------------------------	---	-----------------------------------	------------------	-----------	-------------------

წარმოების სისტემასთან დაკავშირებული შემდეგი ინფორმაცია უნდა იყოს დოკუმენტირებული:

- მიწის ნაკვეთისთვის რომელიც დგება კონვერსიაზე: ბოლო სამი წლის განმავლობაში ბიოწარმოებაში აკრძალული საშუალების გამოყენების დეტალები;
- წარმოებული მცენარეებისა და ცხოველების სახეობა, წარმოების არეალი, წარმოებული პროდუქციის რაოდენობა;
- მცენარის გამოსაკვებად გამოყენებული საშუალებების წარმომავლობა, დასახელება, რაოდენობა ნაკვეთების მიხედვით.
- მცენარეთა დაცვისთვის გამოყენებული საშუალებების წარმომავლობა, დასახელება, რაოდენობა ნაკვეთების მიხედვით.
- საწარმოო ერთეულში გამოყენებული ყველა საშუალების (ბიო თუ არაბიო საშუალებების) სათესლე მასალის ჩათვლით, წარმომავლობის, ბუნების და რაოდენობების, მიღების ჩანაწერები (სერტიფიცირების ორგანომ შეიძლება მოითხოვოს საწარმოო ერთეულს შეინახოს, შექმნილი პროდუქტის რეალიზატორის მიერ ხელმოწერილი დეკლარაცია, რომელის დაადასტურებს, რომ პროდუქტი არ შეიცავს გენმოდიფიცირებულ ორგანიზმებს ან არ არის მათგან მიღებული).
- გადამუშავებული პროდუქტის რაოდენობები და დეტალები, პარტიის ან ლოტის ნომერის ჩათვლით, რომელიც უზრუნველყოფს ინგრედიენტის მიკვლევადობას მისი გაგზავნიდან, მის მიღებამდე.
- ბიო პროდუქციის რეალიზაციის ჩანაწერები და დოკუმენტაცია, რეალიზებული პროდუქტის რაოდენობის, თარიღების, მყიდველის ან პროდუქტის მიმღების დასახელება;
- შექმნილი, საკუთარი წარმოების, რეალიზებული და საწყობში არსებული ნედლეულის/მასალების პერიოდული აღრიცხვა;
- მეცხოველეობის მეურნეობის შემთხვევაში (მეფუტკრეობის ჩათვლით), რაოდენობების სრული აღრიცხვა რეესტრის სახით. ჩანაწერი უნდა მოიცავდეს მეურნეობაში შემოსული ყველა ცხოველის მონაცემს სახეობების მიხედვით, წარმომავლობას და შემოსვლის თარიღს, ბიო სტატუსს, გარდამავალი პერიოდის აღრიცხვას (თუ ეხება), იდენტიფიცირების ნიშნებს და ჩატარებულ ვეტერინარულ წამლობებს. ასევე უნდა იყოს ასახული მეურნეობაში არსებული ყველა ცხოველის ასაკი, წონა (დაკვლის შემთხვევაში), იდენტიფიცირების ნიშნები და დანიშნულება. ყველა დანაკარგი (განურჩევლად მიზეზისა) უნდა იყოს აღრიცხული.
- მეცხოველეობის ფერმაში ყველა ვეტერინარული საშუალების გამოყენებისას ჩანაწერში უნდა აისახოს:
  1. შექმნის თარიღი;
  2. დასახელება, აქტიური ინგრედიენტი და შექმნილი რაოდენობა;
  3. პროდუქტის მომწოდებელი;
  4. ნამკურნალები ცხოველების აღრიცხვა (იდენტიფიცირება);
  5. ნამკურნალები ცხოველების რაოდენობა;

Developed by: ND Date: 26.07.07	Revised: DB, ND, EP, Z.N Date: 11.04.23	Approved: QM Date: 11.04.23	Non-Confidential	Version 7	pages: 6 of 15
---------------------------------------	---	-----------------------------------	------------------	-----------	-------------------

6. დიაგნოზი;
7. გამოყენებული საშუალების დოზა;
8. გამოყენების მეთოდი, მკურნალობის დაწყების და დასრულების თარიღი;
9. გამოყენებული პროდუქტის ჯამური რაოდენობა;
10. მოლოდინის პერიოდი;
11. მკურნალობის შემდეგ ცხოველის ან მისი პროდუქტის რეალიზაციის პირველი თარიღი;
12. ვეტერინარული საშუალების ადმინისტრირებაზე პასუხისმგებელი პირის ვინაობა.

- მეცხოველეობის ფერმაში გამოყენებული საკვების მონაცემები (ყველა შეძენილი საკვების დასახელება, შემადგენლობა), სასეირნო ადგილის ხელმისაწვდომობის პერიოდები, საკვებში მისი შემადგენელი ნაწილების პროპორცია და მათი წარმომავლობა.
- ბიო პროდუქციის რეალიზაციისგან მიღებული შემოსავლების ჩანაწერები, ყველა შეძენის ინვოისები;
- მომხმარებლებისგან ან საზოგადოებისგან მიღებული ყველა საჩივრის ჩანაწერები, რომელიც კავშირშია წარმოების წესთან ან პროდუქტთან

ჩანაწერები უნდა იყოს სრული/გასაგები და უნდა ასახავდეს სტანდარტის მოთხოვნების შესრულებას და უნდა ინახებოდეს მინიმუმ 5 წელიწადი. ჩანაწერების წარმოების მოკლე აღწერა (მაგ.: ნაკვეთების ადგილმდებარეობა, განახლების სიხშირე) სავალდებულოა.

## ნიშანდება და სავაჭრო ნიშანი

- სერტიფიცირების ორგანო აკონტროლებს ევროკავშირის ბიო და კერძო ლოგოს გამოყენებას, სავაჭრო ნიშნების, მითითებას ბიო სერტიფიცირებაზე და ბიო ეტიკეტზე.
- ბიო სერტიფიკატის გაცემისას ოპერატორს უფლება აქვს გამოიყენოს სერტიფიცირების ორგანოს დასახელება და სავაჭრო ნიშნი, აგრეთვე მითითებები, რომ პროდუქტი წარმოებულია ბიო წარმოების ერთეულში, ეტიკეტირება სიტყვებით, „ორგანული“, „ეკოლოგიური“, „ბიოლოგიური“. მრავალ ინგრედიენტიანი პროდუქტის მარკირება რეგულირდება ევროკავშირის რეგულაციებით/სტანდარტებით და საჭიროებს სერტიფიცირების ორგანოს ავტორიზაციას.
- სერტიფიცირების ორგანო აკონტროლებს ორგანული წარმოების შესახებ მითითებების გამოყენებას, სავაჭრო ნიშნებს და სერტიფიცირების ორგანოს სახელებს, შესაბამის ეტიკეტებს, სარეკლამო მასალას, ბეჭდურ და ელექტრონულ პუბლიკაციებს, რომლებიც დაკავშირებულია სერტიფიცირების სფეროსთან და სერტიფიცირებულ წარმოებასთან.

Developed by: ND Date: 26.07.07	Revised: DB, ND, EP, Z.N Date: 11.04.23	Approved: QM Date: 11.04.23	Non-Confidential	Version 7	pages: 7 of 15
---------------------------------------	---	-----------------------------------	------------------	-----------	-------------------

- ეტიკეტების დამზადებამდე/გამოცემამდე, პუბლიკაციების დაბეჭდვამდე და ა.შ., ოპერატორმა ოფიციალურად, წერილობით უნდა შეათანხმოს მათი გამოყენება სერტიფიცირების ორგანოსთან. ოფიციალური ავტორიზაციისთვის გთხოვთ, მიმართოთ სერტიფიცირების ორგანოს. ყოველი ეტიკეტი და რეკლამა უნდა იყოს ავტორიზებული სერტიფიცირების ორგანოს მიერ დაბეჭდვამდე და გამოყენებამდე.
- ევროკავშირის ორგანული ლოგო (ე.წ. „მწვანე ფოთოლი“) გამოყენებული უნდა იყოს კავკასიის რეგიონის მიერ სერტიფიცირებული პროდუქტების ეტიკეტებზე EC რეგულაციების 2018/848 მოთხოვნების გათვალისწინებით. ოფიციალური ინსტრუქციებისთვის გთხოვთ, მიმართოთ სერტიფიცირების ორგანოს, რათა მიიღოთ სახელმძღვანელო ევროკავშირის ორგანული ლოგოს გამოყენების შესახებ. მკაცრად აკრძალულია ევროკავშირის ორგანული ლოგოს გამოყენება ოპერატორის ან სხვა მხარის თავისუფალი ინტერპრეტაციით. ასეთი უნებართვო გამოყენება შეიძლება გახდეს სერტიფიცირების ორგანოს ან უფლებამოსილი ორგანოების (წევრი სახელმწიფო, ევროკომისია) მიერ სანქციების გამოყენების საფუძველი.

### სერთიფიკატი: გაცემა, შენარჩუნება, გახანგრძლივება, შეჩერება, შეწყვეტა და გაუქმება.

ინსპექტირების ვიზიტების დადებითი შედეგების საფუძველზე, სერტიფიცირების ორგანო იღებს გადაწყვეტილებას გასცეს ორგანული სერტიფიკატი ოპერატორს, როგორც ეს განსაზღვრულია სერტიფიცირების განაცხადში, ხელშეკრულებაში, ასევე ბიო წარმოების გეგმაში.

სერთიფიკატი ახლდება ყოველწლიურად ან შეიძლება გაუგრძელდეს მოქმედება ყოველწლიური ინსპექტირების საფუძველზე.

შეუსაბამობების ან დარღვევების აღმოჩენის შემთხვევაში, სერტიფიცირების ორგანოს შეუძლია უარი თქვას (პირველად განაცხადზე), შეაჩეროს, გააუქმოს ოპერატორის სერტიფიკატი. ოპერატორს უფლება აქვს ნებისმიერ დროს განაცხადოს სერტიფიცირების პროცესის შეწყვეტის შესახებ. ფინანსური საკითხები და გაწეული ფაქტობრივი მომსახურება განისაზღვრება სერტიფიცირების ორგანოსა და ოპერატორს შორის შეთანხმების საფუძველზე.

- შემოწმების შედეგები ოპერატორს მიეწოდება ანგარიშის სახით. ანგარიშის ასლი ოპერატორს გადაეცემა სერტიფიცირების ორგანოს მიერ.
- ინსპექტირების ანგარიშის საფუძველზე, უფლებამოსილი პერსონალი იღებს გადაწყვეტილებას სერტიფიცირების შესახებ.
- სერტიფიკატი გაიცემა იმ პროდუქტებზე და წარმოებაზე, რომელიც შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.
- ორგანული სერტიფიკატი შეიცავს სერტიფიცირებული პროდუქციის ჩამონათვალს და მის რაოდენობას. სერთიფიკატი ჩვეულებრივ მოქმედებს 1 წლის განმავლობაში.



- სერტიფიკატი გაიცემა ელექტრონულ ან/და ნაბეჭდად (ნაბეჭდი ასლი შეიძლება მოითხოვნილ იქნეს ოპერატორის მიერ).
- თუ შეფასების შედეგი უარყოფითია, სერტიფიკატი შეიძლება გაუქმდეს ან შეუჩერდეს მოქმედება.
- სერტიფიცირების ორგანო იყენებს სანქციების სისტემას (სანქციების კატალოგი საჯაროა და შესაძლებელია ოპერატორებს მოთხოვნისთანავე მიაწოდოს).

## ტარიფები

სერტიფიცირების ორგანოს მიერ გაწეული მომსახურების საფასური შეიძლება გადაიხედოს ორგანიზაციის შიდა აუდიტისა და ზოგადად ეკონომიკური მდგომარეობის გათვალისწინებით.

ინფორმაცია ტარიფების შესახებ გამოქვეყნებულია და ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული მხარისთვის.

ყველა განმცხადებელს შეუძლია გაეცნოს ტარიფებს სერტიფიცირების ორგანოს ვებ-გვერდის მეშვეობით [www.caucascert.com](http://www.caucascert.com)

## ოპერატორის ვალდებულებები

ოპერატორი პასუხისმგებელია მინიმუმ შემდეგზე:

- დაიცვას სტანდარტის მოთხოვნები.
- უზრუნველყოს სერტიფიცირების ორგანოსა და მის პერსონალისთვის, აკრედიტაციის ორგანოსა და ევროკომისიის წარმომადგენლებისთვის, სრული ხელმისაწვდომობა ყველა დოკუმენტაციაზე (მათ შორის ფინანსურ დოკუმენტაციაზე), ინფრასტრუქტურაზე და საწარმოო ობიექტებზე, რომლებიც პირდაპირ ან ირიბად უკავშირდება ოპერატორის ბიო წარმოებას. ასევე უზრუნველყოს ხელმისაწვდომობა წარმოების არაბიო ნაწილებზე, პარალელური წარმოების შემთხვევაში.
- შეატყობინოს სერტიფიცირების ორგანოს ყველა ცვლილების შესახებ ბიო წარმოების სისტემაში, რამაც შეიძლება გავლენა მოახდინოს სერტიფიცირების პროცესზე, მათ შორის ცვლილებები ბიოწარმოების მენეჯმენტში, მესაკუთრეებში, წარმოების ტიპზე და ა.შ.
- სტანდარტის დარღვევის შემთხვევაში ოპერატორი ვალდებულია განახორციელოს შემდეგი ქმედებები:
  - ბიო სერტიფიცირებაზე ყველა მითითების დაუყოვნებლივ მოშორება
  - ბიოსტატუსზე მიმანიშნებელი ყველა ნიშანდების გამოყენების შეწყვეტა და ამოღება.
- სერტიფიცირების ორგანოს ნებისმიერი ინფორმაციის მიწოდება, რომელიც დაკავშირებულია სერტიფიცირებისა და კონტროლის სისტემასთან და შეიძლება ჰქონდეს მნიშვნელოვანი გავლენა ოპერატორსა და სერტიფიცირების ორგანოს შორის მომქმედ ხელშეკრულებაზე, მათ შორის,

სერტიფიცირების ორგანოსთვის მომხდარი დარღვევებისა და განხორციელებული ქმედებების შეტყობინება. ოპერატორი ასევე ვალდებულია შეატყობინოს სერტიფიცირების ორგანოს მომხმარებლისგან ან ბაზრის სხვა მოთამაშეებისგან შემოსული საჩივრის შესახებ, რომელიც დაკავშირებულია ბიო წარმოებასთან.

აღნიშნული ინფორმაცია შემოთავაზებულია თქვენს საყურადღებოდ და სერტიფიცირების ორგანო მზადაა დამატებით განიხილოს მისი შინაარსი თქვენთან ერთად. თუ მომსახურების პირობები მისაღებია თქვენთვის, შეგიძლიათ შეავსოთ განაცხადის ფორმა და მიმართოთ სერტიფიცირების ორგანოს.

სერტიფიცირების პროცესში ოპერატორის შესახებ მიღებული ყველა ინფორმაციის კონფიდენციალობა უზრუნველყოფილია და რეგულირდება ხელშეკრულებით.

ინფორმაცია სტანდარტის, სერტიფიცირებული, შეჩერებული, გაუქმებული, სერტიფიკატების შესახებ გამოქვეყნებულია ვებგვერდზე [www.caucascert.ge](http://www.caucascert.ge)

## ზოგადი ინფორმაცია 2018/848 ვერორეგულაციის შესახებ

ახალი ევრო რეგულაცია (EU) 2018/848 ამოქმედდა 2022 წლის 1 იანვრიდან. მიღებული ტექსტი წარმოადგენს „ძირითად აქტს“. ეს ნიშნავს, რომ ტექსტის მრავალი დეტალი შემდგომ განახლდა და მომავალშიც განახლდება. განახლებები ასახულია მოხდება სხვა სამართლებრივი აქტების მეშვეობით, სახელწოდებით „დელეგირებულ აქტებში“ და „აღმასრულებელი აქტები“.

წინა კანონმდებლობასთან (EU Reg 834/2007, 889/2008, 1235/2008) შედარებით შეტანილი ძირითადი ცვლილებები

ახალი რეგულაციის მიხედვით, პროდუქციის კატეგორიები, რომლებიც შეიძლება იყოს სერტიფიცირებული, არის:

1. პირველადი და გადაუმუშავებელი სას/სამ პროდუქტები - ცხოველები, მცენარეები და თესლი, სოკო;
2. დამუშავებული საკვები;
3. ცხოველებისთვის განკუთვნილი საკვები;

სიახლეა ახალი რეგულაციის I დანართით, რომელიც ასახავს იმ პროდუქტების ჩამონათვალს, რომლებიც მკაფიოდ არ არის დაფარული წინამდებარე კატეგორიებით, მაგრამ მაინც შესაძლებელია იყოს სერტიფიცირებული. ეს სია მოიცავს:

- სურსათში და ცხოველის საკვებში გამოყენებული საფუვრები
- მატე,
- ვაზის ფოთლები,
- პალმის გული
- სვიის ყლორტები
- აბრეშუმის ჭიის პარკი, რომელიც გამოსადეგია გრაგნილისთვის,

Developed by: ND Date: 26.07.07	Revised: DB, ND, EP, Z.N Date: 11.04.23	Approved: QM Date: 11.04.23	Non-Confidential	Version 7	pages: 10 of 15
---------------------------------------	---	-----------------------------------	------------------	-----------	--------------------

- წყალში ხსნადი და უხსნადი ბუნებრივი ფისი,
- ეთერზეთები,
- ბუნებრივი კორპის საცობები აგლომერირებისა და ნებისმიერი შეწებებული ნივთიერებების გარეშე,
- ბამბა სავარცხნ-გაუჩეჩავი
- მატყლი სავარცხნ-გაუჩეჩავი
- ნედლი ტყავი და დაუმუშავებელი კანი
- მცენარეული წარმოშობის ტრადიციული ბალახეული პრეპარატები.
- ზღვის მარილი და სხვა მარილები
- ვარდკაჭაჭას თავების ან ყლორტები.

ამჟამად შპს კავკასსერტი ახდენს ცვილის და ეთერზეთებს სერტიფიცირებას.

საზოგადოებრივი კვების ობიექტები (რესტორნები და სასადილოები), რეგულაციის სფეროში არ შედის, თუმცა, შეიძლება გამოყენებულ იქნას ეროვნული ან კერძო სტანდარტები.

ამ კატეგორიის პროდუქტების სერტიფიცირებით დაინტერესების შემთხვევაში კავკასსერტი გაგიწევთ დახმარებას.

### **ახალი მიზანი და პრინციპები**

რეგულაციის მიზნებს შორის სიახლეა მოკლე სადისტრიბუციო არხებისა და ადგილობრივი წარმოების წახალისება.

პრინციპებს შორის სიახლეა, კონცეფცია, რომელიც ნიადაგთან დაკავშირებული წარმოების გაძლიერების ხელშემწყობია. ასევე ახალი და პოზიტიურია ე.წ. ტერმინები „არატოქსიკურ გარემოს შექმნაში წვლილის შეტანა“, „გრძელვადიანი ნაყოფიერება“ და „ბიომრავალფეროვნება“.

კიდევ ერთი ახალი პრინციპი არის ისეთი ორგანული მცენარეული რეპროდუქციული მასალისა და ცხოველთა ჯიშების გამოყენების სტიმულირება, რომლებსაც გააჩნიათ მაღალი ხარისხის გენეტიკური მრავალფეროვნება და დაავადებების მიმართ მედეგობა.

ასევე სიახლეა იმ სურსათის გამორიცხვა, რომელიც შეიცავს ან შედგება ნანომასალებისაგან.

### **წარმოების წესები ფერმერებისთვის**

ეკვივალენტობის მექანიზმი ევროკავშირის გარეთ არსებულ ქვეყნებში აღარ მოქმედებს.

ახალი რეგულაციები დაშვებულია ყველგან მსოფლიოში, მათ შორის ევროკავშირში.

### **ჯგუფური სერტიფიცირება**

ჯგუფური სერტიფიცირების საშუალებით შესაძლებელია მცირე ფერმერთა გარკვეულ რაოდენობის ორგანიზება და სერტიფიცირება, ერთი სუბიექტის სახით. ერთი სერტიფიკატი დაფარავს ყველა ფერმერს, რომელსაც არ შეუძლია სერტიფიცირებული პროდუქტის ინდივიდუალურად რეალიზება. დადგენილია

Developed by: ND Date: 26.07.07	Revised: DB, ND, EP, Z.N Date: 11.04.23	Approved: QM Date: 11.04.23	Non-Confidential	Version 7	pages: 11 of 15
---------------------------------------	---	-----------------------------------	------------------	-----------	--------------------

კონკრეტული კრიტერიუმები, რათა განისაზღვროს, რა კატეგორიის ფერმერებს შეუძლიათ შეუერთდნენ ჯგუფს.

ახალი რეგულაციებით ბიო ფერმერებს ექნებათ წვდომა ჰეტეროგენულ რეპროდუქციულ მასალაზე (ძირითადად სახნავი კულტურების თესლზე). ეს მრავალფეროვნება ძალიან კარგია ბიო მეურნეობისთვის - განსხვავებით თესლის ზოგადი კანონისგან, რომელიც მოითხოვს თესლის ერთგვაროვნების მაღალ დონეს.

ახალ რეგულაციაში განმტკიცებულია კონცეფცია, რომელიც ახალისებს ნიადაგთან მჭიდრო კავშირში არსებულ წარმოებას.

ამ წესიდან ძალიან ცოტა გამონაკლისი არის დაშვებული, მაგალითად, ვარდკაჭაჭას თავების ან ყლორტების წარმოება.

გამონაკლისის სახით 10 წლით გახანგრძლივდა ე.წ. “demarcated beds” მეთოდის გამოყენებას, რომლებიც ტრადიციულად გამოიყენება ზოგიერთ სკანდინავიურ ქვეყანაში. აღნიშნული გამონაკლისი შეეხება მხოლოდ სამ ქვეყანაში: ფინეთში, შვედეთსა და დანიაში უკვე არსებულ და სერტიფიცირებულ მწარმოებლებს.

მეცხოველეობის ფერმერებისთვის საკვების უფრო მაღალი პროცენტი უნდა მოდიოდეს თავად მეურნეობიდან ან იმავე რეგიონიდან.

ძროხების, ცხვრის, თხის, ცხენის, ირმისა და კურდღლის საკვების 60% (70% 2023 წლიდან) რეგიონული წარმოშობის უნდა იყოს, ხოლო ღორებისა და ფრინველების 30%.

წინა რეგულაციაში შედარებისთვის პროცენტები არის 60% და 20% შესაბამისად.

გამონაკლისი რომლებიც მუდმივი იყო, ახალ რეგულაციაში გარდამავალი იქნება. აქედან გამომდინარე, ფერმერებს აქვთ ხელმისაწვდომობა არაბიო თესლზე ან ახალგაზრდა ცხოველებზე, როდესაც ბიო თესლი ან ახალგაზრდა ცხოველები არ არის ხელმისაწვდომი, მაგრამ მხოლოდ გარკვეული პერიოდის განმავლობაში.

გამონაკლისების გაუქმებას ხელი შეეწყობა ეროვნული მონაცემთა ბაზების შექმნით, რომლებიც ორგანული თესლისა და ახალგაზრდა ცხოველების შესახებ ინფორმაციას საჯაროდ ხელმისაწვდომს გახდის. ნათლად არის ნათქვამი, რომ ეს გამონაკლისები შეიძლება გამოყენებულ იქნას მხოლოდ მაშინ, როდესაც ორგანული თესლი და ორგანული ახალგაზრდა ცხოველები არ არის ბაზარზე ხელმისაწვდომი.

### **სურსათის გადამუშავების წესები**

ახალ რეგულაციაში მკაცრად რეგულირდება ბუნებრივი არომატიზატორების გამოყენება.

2022 წლიდან მხოლოდ აღნიშნული ინგრედიენტებიდან წარმოებული ნატურალური არომატიზატორების გამოყენებაა შესაძლებელი. მაგალითად, ნებადართული იქნება „ნატურალური ლიმონის არომატიზატორი“, რაც ნიშნავს, რომ არომატიზატორი მინიმუმ 95% მიიღება ლიმონისგან.

Developed by: ND Date: 26.07.07	Revised: DB, ND, EP, Z.N Date: 11.04.23	Approved: QM Date: 11.04.23	Non-Confidential	Version 7	pages: 12 of 15
---------------------------------------	---	-----------------------------------	------------------	-----------	--------------------

ასევე დეტალურად იქნება აღწერილი ორგანული არომატიზატორების მიღების წესები.

შემუშავდება სურსათის გადამამუშავებისას გამოსაყენებელი ნებადართული საწმენდი და სადეზინფექციო პროდუქტების შეზღუდული სია.  
ოდნავ გაიზარდა მოქნილობა ინგრედიენტების წარმოშობის მითითების საკითხში.

ძველ რეგულაციაში პროდუქტის ნიშანდებაზე "ევროკავშირის სოფლის მეურნეობა" ან "ბულგარული სოფლის მეურნეობა", შესაძლებელი იყო თუ ინგრედიენტების მინიმუმ 98% იწარმოებოდა ევროკავშირში ან ბულგარეთში.  
ახალი რეგულაციებით მინიმალური პროცენტი იქნება 95% და შეიძლება აღინიშნოს თუნდაც რეგიონი, მაგალითად, თუ ინგრედიენტების 95% ტოსკანაშია წარმოებული შეიძლება გამოყენებულ იქნას მითითება "ტოსკანის სოფლის მეურნეობა".

### **კონტროლი და სერტიფიცირება**

ორგანული კონტროლის სისტემა მჭიდროდ იქნება დაკავშირებული ახალ ზოგად კანონმდებლობასთან (რეგულაცია (EU) 2017/625) სურსათისა და საკვების ოფიციალური კონტროლის შესახებ, რომელიც გამოქვეყნდა 2017 წელს.

გარდა ამისა, ბიო-წარმოების სპეციფიკური კონტროლის მოთხოვნები დეტალურად არის აღწერილი ახალ რეგულაციაში.

კიდევ ერთი სიახლე არის ის, რომ ყოველწლიური ფიზიკური შემოწმება ყველასთვის სავალდებულო არ იქნება.

ახალ რეგულაციის ამოქმედებამდე იგი ვრცელდებოდა სერტიფიცირებული ფერმების/საწარმოების 100%-ზე. გამონაკლისი გულისხმობს, რომ დაბალი რისკის მქონე მეურნეობები/საწარმოები შემოწმდება ყოველ 24 თვეში და არა ყოველწლიურად. თუმცა, მესამე ქვეყნებში ეს წესი ნაკლებად იქნება გამოყენებული.

კონტროლის სისტემა მეტწილად დაეფუძნება მეურნეობაში/საწარმოში არსებულ რისკებს.

საცალო მოვაჭრეებს, რომლებიც ყიდიან ბიო-პროდუქციას მხოლოდ არა საცალო ვაჭრობისთვის განკუთვნილი შეფუთვით, არ დასჭირდებათ სერტიფიცირება, მაგრამ დაექვემდებარებიან ზოგადი კონტროლის კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემოწმებას. თუმცა, საცალო მოვაჭრეები, რომლებსაც სურთ გამოიყენონ საკუთარი სასაქონლო ნიშანი არა საცალო ვაჭრობისთვის განკუთვნილ შეფუთვაზე არსებულ ეტიკეტზე, უნდა იყვნენ სერტიფიცირებული.

გარდა ამისა, ევროკავშირის წევრ ქვეყნებს შეუძლიათ გადაწყვიტონ გაათავისუფლონ ის ფერმერები სერტიფიცირების ვალდებულებისგან, რომლებიც ყიდიან მცირე რაოდენობით ორგანულ პროდუქტებს პირდაპირ საბოლოო მომხმარებელზე.

Developed by: ND Date: 26.07.07	Revised: DB, ND, EP, Z.N Date: 11.04.23	Approved: QM Date: 11.04.23	Non-Confidential	Version 7	pages: 13 of 15
---------------------------------------	---	-----------------------------------	------------------	-----------	--------------------

სიახლეა საკითხი, რომელიც ეხება ბიო პროდუქტში აკრძალული საშუალებების გამოყენების კვალის აღმოჩენისას გასატარებელ ღონისძიებებს. კავაკსერტი გამოიყენებს საკუთარ სანქციებსა და პროცედურებს, რომლებიც დაფუძნებულია 2018/848 და 2021/1698 რეგულაციებზე.

**იმპორტი**

ახალი რეგულაციით, ევროკავშირში ბიო პროდუქციის იმპორტირების ორი სისტემა იქნება:

- **ევროკავშირის სავაჭრო შეთანხმებები:** ყველა მესამე ქვეყანას, რომელიც ამჟამად აღიარებულია ეკვივალენტად, მოუწევს ხელახლა მოლაპარაკება სავაჭრო ხელშეკრულებების პირობებზე ევროკავშირის ახალი პროცედურის მიხედვით. ამჟამად, 13 მესამე ქვეყანაა აღიარებული:
  - არგენტინა,
  - ავსტრალია,
  - კანადა,
  - ჩილე,
  - კოსტა რიკა,
  - ინდოეთი,
  - ისრაელი,
  - იაპონია,
  - კორეის რესპუბლიკა,
  - შვეიცარია,
  - ტუნისი,
  - ამერიკის შეერთებული შტატები და
  - ახალი ზელანდია.
- **სერტიფიცირების ორგანოები:** სადაც არ არის სავაჭრო შეთანხმება, კომისია ადგენს აღიარებული სერტიფიცირების ორგანოების სიას, რომლებიც უფლებამოსილნი იქნებიან განახორციელონ კონტროლი და სერტიფიცირება მესამე ქვეყნებში.

ევროკავშირის რეგულაციის მოთხოვნები იდენტურად იქნება შესრულებული როგორც ევროგაერთიანებაში ასევე მის ფარგლებს გარეთ.

გარკვეული მოქნილობა დაიშვება მცენარეთა დაცვის საშუალებების და/ან სასუქების გამოყენებაში, რომლებიც ტრადიციულად გამოიყენება მესამე ქვეყნებში.

**ორგანული რეგულაციების ჩამონათვალი**

ახალი ორგანული რეგულაცია (EU) 2018/848 (ის ამოქმედდა 2022 წლის 1 იანვრიდან)

Developed by: ND Date: 26.07.07	Revised: DB, ND, EP, Z.N Date: 11.04.23	Approved: QM Date: 11.04.23	Non-Confidential	Version 7	pages: 14 of 15
---------------------------------------	---	-----------------------------------	------------------	-----------	--------------------

შესწორებები/დამატებები:

- Delegated Regulation (EU) 2020/427  
-amended by Delegated Regulation (EU) 2021/269
- Implementing Regulation (EU) 2020/464  
-amended by Implementing Regulation (EU) 2020/2042  
-amended by Implementing Regulation (EU) 2021/1849
- Delegated Regulation (EU) 2020/1794  
-corrected by Corrigendum
- Delegated Regulation (EU) 2020/2146
- Implementing Regulation (EU) 2021/279
- Delegated Regulation (EU) 2021/642
- Delegated Regulation (EU) 2021/715
- Delegated Regulation (EU) 2021/716
- Delegated Regulation (EU) 2021/771
- Delegated Regulation (EU) 2021/1006
- Implementing Regulation (EU) 2021/1165
- Delegated Regulation (EU) 2021/1189
- Delegated Regulation (EU) 2021/1342
- Implementing Regulation (EU) 2021/1378
- Delegated Regulation (EU) 2021/1691
- Delegated Regulation (EU) 2021/1697
- Delegated Regulation (EU) 2021/1698.

2018/848 რეგულაციის ყველა მოთხოვნა შეგიძლიათ იხილოთ ცალკე დოკუმენტის სახით.

ყველა რეგულაციის საფუძველზე, სერტიფიცირების ორგანომ შეიმუშავა პროცედურები და დოკუმენტები, რომლებიც მიეწოდება ყველა განმცხადებელს და ოპერატორს.